

2011

შპს „აუდიტ-ექსტრა“



AUDIT-EXTRA LTD

593-104-100

242734136

AUDIT-EXTRA@MAIL.RU

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისათვის რომელიც დასრულდა
2011 წლის 31 დეკემბრს
შპს „აუდიტ-ექსტრა“-ს
2012 წლის 28 თებერვლის
აუდიტორული დასკვნა №8/7-1

სარჩევი:

- სარჩევი ----- გვ 2;
- ზოგადი ნაწილი ----- გვ 3 - 4;
- წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2011 წლის
საანგარიშო პერიოდზე ----- გვ 4 - 13;
- რეკომენდაციები ----- გვ 13;
- დასკვნა ----- გვ 14 ;

შპს „აუდიტ-ექსტრა“



AUDIT-EXTRA LTD

593-104-100

242734136

AUDIT-EXTRA@MAIL.RU

№8/7-1

28 თებერვალი 2012 წელი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის

მმართველობას

აუდიტორული კომპანია შპს „აუდიტ-ექსტრა“-ს დირექტორს ლევან ზარქუასა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის კახაბერ ციმინტიას შორის 2012 წლის 20 თებერვალს დადებული ხელშეკრულება №38-ის საფუძველზე აუდიტორებმა ო.ზარქუამ (საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საბჭოს მიერ გაცემული სერტიფიკატი №5/538 ზოგად აუდიტში) და თ.ზარქუამ (საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საბჭოს მიერ გაცემული სერტიფიკატი №5/537 ზოგად აუდიტში) მოვახდინეთ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოწოდებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტირება, რომელიც წარმოდგენილი იყო 10 გვერდზე, იგი მოიცავდა ბალანსს 2011 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემოსავლების, ხარჯების ანგარიშს და დასრულებული წლის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშს.

მმართველობის პასუხისმგებლობა

მმართველობა პასუხისმგებელია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და ობიექტურ წარდგენაზე, საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად. პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის შემუშავებას, დანერგვას და უზრუნველყოფას, რომელიც უკავშირდება ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს არსებით უზუსტობას, თაღლითობიდან თუ შეცდომიდან გამომდინარე; შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევას და დანერგვას, და გარემოებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილი სააღრიცხვო გამოთვლების განხორციელებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობა მდგომარეობს ჩვენს მიერ აუდიტირებულ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრების გამოთქმაში. ჩვენ განვახორციელეთ აუდიტი, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები მოითხოვენ ჩვენგან შესაბამისობას ეთიკურ მოთხოვნებთან,

აუდიტის დაგეგმვას და განხორციელებას, წინამდებარე ანგარიშგებაში აღსანიშნავი უზუსტობების არარსებობის სარწმუნო დადასტურების მიზნით.

აუდიტი მოიცავს პროცედურებს, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების და ინფორმაციის აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. პროცედურის შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორის მოსაზრებაზე, მათ შორის ფინანსური ანგარიშგების აღსანიშნავი უზუსტობის რისკის შეფასებისას, თაღლითობის თუ შეცდომის მიზეზით. აღნიშნული რისკების შეფასებისას, აუდიტორი ითვალისწინებს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და ობიექტური წარდგენის შიდა კონტროლს, გარემოებების შესაფერისი აუდიტირების პროცედურების შემუშავების მიზნით, თუმცა, არა შიდა კონტროლთან დაკავშირებით მოსაზრების გამოხატვის მიზნით. აუდიტი ასევე მოიცავს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობის შეფასებას და მენეჯმენტის მიერ შესრულებული სააღრიცხვო გამოთვლების მიზანშეწონილობას, ისევე როგორც, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას.

ჩვენი აზრით, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულება საკმარისი და შესაბამისია აუდიტის საფუძვლის უზრუნველსაყოფად.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება 2011 წლის საანგარიშო პერიოდზე

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 84-ე მუხლის 1-ლი, 2-ე და მე-3 პუნქტების შესაბამისად წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის თეიმურაზ კონჯარიას და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსის კორნელი კვარაცხელიას მიერ.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2011 წელი		
	წლიური გეგმა	პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება
1	8	9	10
I. შემოსავლები	3505.0	5907.8	6036.2
გადასახადები	2379.0	3662.0	3781.1
სოციალური შენატანები			
გრანტები	1041.0	1978.8	1976.2
სხვა შემოსავლები	85.0	267.0	278.9
II. ხარჯები	3319.5	4508.9	4432.8
შრომის ანაზღაურება	928.4	1207.5	1207.5
საქონელი და მომსახურება	860.1	671.9	651.9
პროცენტი	9.0	9.0	8.9
სუბსიდიები	995.0	1794.7	1791.6

გრანტები			
სოციალური უზრუნველყოფა	400.0	341.4	326.1
სხვა ხარჯები	127.0	484.4	446.8
III. საოპერაციო საღდო	185.5	1398.9	1603.4
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	185.5	1172.2	1087.4
ზრდა	235.5	1312.2	1242.2
კლება	50	140.0	154.8
	0.0	226.7	516.0
V. მთლიანი საღდო			
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	0	226.7	516
ზრდა	0	600.2	889.5
ვალუტა და დეპოზიტები		600.2	889.5
სესხები			
აქციები და სხვა კაპიტალი			
კლება	0	373.5	373.5
ვალუტა და დეპოზიტები		373.5	373.5
სესხები			
აქციები და სხვა კაპიტალი			
VII. ვალდებულებების ცვლილება			
ზრდა			
საგარეო			
საშინაო			
კლება			
საგარეო			
საშინაო			
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0

წლის დასაწყისათვის არსებული სახსრების ნაშთი შეადგენდა 373500 ლარს.
საანგარიშო წლის ბოლოს გარდამავალი სახსრების ნაშთმა შეადგინა 889449 ლარი.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2010 წლის 30 დეკემბრის №54 დადგენილებით “ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ” შემოსულობების გეგმა განისაზღვრა 3555000 ლარის ოდენობით, წლის განმავლობაში აღნიშნულ დადგენილებაში შეტანილი ცვლილებების გამო დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 6047800 ლარი, ანუ 2011 წლის საანგარიშო პერიოდში გეგმა გაიზარდა 2492800 ლარით. ბიუჯეტის ფაქტიური საკასო შესრულებამ შეადგინა 6191000 ლარი. გეგმის ზევით მიღებულია 143200 ლარის შემოსავალი. მათ შორის:

შემოსულობები

კოდი	შემოსულობების სახეების დასახელება	წლიური გეგმა	პერიოდის დაზუსტებული გეგმა	შესრულება
1	2	3	4	5
113111	საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2344000	3577000	3640300
113113	ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0		3500
113114	სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	15000	45000	43200
113115	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	20000	40000	94100
131	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	58000	58000	55400
1331	გათანაბრებითი ტრანსფერი	838000	838000	838000
1331	მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	145000	145000	145000
1312	რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	0	300000	300000
1312	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0	582300	582300
1312	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო	0	55500	55500
14151	მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლისათვის	65000	170000	163200
14154	შემოსავალი მიწის იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან			2400
14223	სანებართვო მოსაკრებელი	0	16000	8200

142214	ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	0	15000	19500
142321	შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	0		11100
	შემოსავალი მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან		16000	5400
143	სანქციები, ჯარიმები და საურავები	20000	50000	66500
	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები			2600
3141	არაფინანსური აქტივების კლება	50000	140000	154800
		3555000	6047800	6191000

I. საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 2379000 ლარს, დაზუსტებული გეგმის მიხედვით ქონების გადასახადის გეგმა გაიზარდა 1233000 ლარით და შეადგინა 3662000 ლარი, გეგმა გაიზარდა შპს „ენგურჰესის“ მიერ რექსტრუქტურირებული დავალიანების გადახდილი თანხით; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 15000 ლარს, დაზუსტებული გეგმის მიხედვით 45000 ლარს, ანუ გეგმა გაზრდილ იქნა 30000 ლარის ოდენობით; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 20000 ლარს, დაზუსტებული გეგმის მიხედვით 40000 ლარს, ანუ გაზრდილ იქნა 20000 ლარის ოდენობით; გადასახადი ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) შეადგენდა 3500 ლარს. 2011 წლის საანგარიშო პერიოდში გადასახადების ფაქტიურმა საკასო შესრულებამ შეადგინა 3781100 ლარი.

II. გრანტების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1041000 ლარს, დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1978800 ლარს, ანუ გეგმა გაზრდილ იქნა 937800 ლარის ოდენობით, ფაქტიური შესრულება შეადგენდა 1976200 ლარს, მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტების გეგმა შეადგენდა 58000 ლარს, ფაქტიური საკასო შესრულება – 55400 ლარი, აქედან, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ბიუროდან გეგმა შეადგენდა 8000 ლარს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს ოფისის მოსაწყობად, ფაქტიური შესრულება – 7984 ლარი; იაპონიის მთავრობიდან მიქავას თემში ასოციაცია „მიქავა-2010“-სთვის აგროტექნიკის შესაძენად გეგმა – 50000 ლარი, ფაქტიური საკასო შესრულება – 47400 ლარი. გათანაბრებითი ტრანსფერის გეგმა შეადგენდა 838000 ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 838000 ლარი; მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსულების განსახორციელებლად გეგმის მიხედვით შეადგენდა 145000 ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 145000 ლარი.

ეკონომიკური ტრანსფერის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 937800 ლარს, ფაქტიურმა საკასო შესრულებამ შეადგინა 937800 ლარი, მათ შორის: რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება 300000 ლარი; სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 582300 ლარი; სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო 55500 ლარი.

III. სხვა შემოსავლების წლიური დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 85000 ლარს, დაზუსტებული გეგმის მიხედვით 267000 ლარს, ანუ საანგარიშო წლის პერიოდში გეგმა გაზრდილ იქნა 182000 ლარის ოდენობით, მათ შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 65000 ლარს, დაზუსტებული გეგმა 170000 ლარს, ფაქტიური შესრულება შეადგენდა 163200 ლარს; სანქციები, ჯარიმები და საურაგების წლიური დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 20000 ლარს, წლიური დაზუსტებული გეგმა – 50000 ლარს, ფაქტიური საკასო შესრულებამ შეადგინა 66500 ლარი; სანებართვო მოსაკრებელიდან შენოსავალის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 16000 ლარს, ფაქტიური საკასო შესრულებამ შეადგინა 8200 ლარი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებიდან დაზუსტებული გეგმით შეადგინა 15000 ლარი, ფაქტიური საკასო შესრულებამ შეადგინა 19500 ლარი; შემოსავალი მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან დაზუსტებული გეგმით შეადგინა 16000 ლარი, ფაქტიურმა საკასო შესრულებამ შეადგენდა 5400 ლარს; გეგმის გარეშე მიღებული შემოსავალი მიწის იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შეადგენდა 2400 ლარს; გეგმის გარეშე მიღებული შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან მიღებულია 11100 ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლის ფაქტიური შესრულება შეადგენდა 2600 ლარს. სხვა შემოსავლების ფაქტიური საკასო შესრულებამ შეადგინა 278900 ლარი.

IV. არაფინანსური აქტივების კლების წლიური დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 50000 ლარს, წლიური დაზუსტებული გეგმის მიხედვით 140000 ლარი, ფაქტიური შესრულებამ შეადგინა 154800 ლარი.

2011 წლის გადასახდელების (ხარჯების) წლიური დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 3555000 ლარს, წლიური დაზუსტებული გეგმის მიხედვით 5821100 ლარი, ანუ საანგარიშო პერიოდში გეგმა გაზრდილ იქნა 2266100 ლარის ოდენობით, ფაქტიური საკასო შესრულებამ შეადგინა 5674984 ლარი, მათ შორის:

გადასახდელები

ორგანიზაციული კლასიფიკაციის კოდი	ხარჯების ეკონომიკური და აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების კლასიფიკაციის კოდები	გადასახდელების სახეების დასახელება	წლიური დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული წლიური ბიუჯეტი	პერიოდის დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება
1	2	3	4	5	6	7
01 00		წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები	294.0	2400.2	2400.2	2358.7
	2111	შრომის ანაზღაურება	731.4	968.8	968.8	968.8

	22	საქონელი და მომსახურება	417.1	549.5	549.5	543.4
		პროცენტი	9.0	9.0	9.0	8.9
	25	სუბსიდიები				
	2822	სხვა ხარჯები	70.0	100.0	100.0	72.6
	311	არაფინანსური აქტივების ზრდა	215.0	772.9	772.9	765.0
02 00		ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური	200.0	237.2	237.2	237.0
	2111	შრომის ანაზღაურება	153.0	186.6	186.6	186.6
	22	საქონელი და მომსახურება	36.0	39.6	39.6	39.6
	2822	სხვა ხარჯები	11.0	11.0	11.0	10.8
03 00		შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსება	110.0	238.5	238.5	236.7
	25	სუბსიდიები	110.0	113.7	113.7	112.0
	311	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	124.8	124.8	124.7
04 00		თავდაცვის ღონისძიებები	85.0	90.7	90.7	90.6
	2111	შრომის ანაზღაურება	44.0	52.1	52.1	52.1
	22	საქონელი და მომსახურება	41.0	38.6	38.6	38.5
05 00		ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	380.0	811.1	811.1	750.6
	22	საქონელი და მომსახურება	360.0	8.0	8.0	5.9
	25	სუბსიდიები		417.6	417.6	416.2
	311	არაფინანსური აქტივების ზრდა	20.0	385.5	385.5	328.5
06 00		საგანმანათლებლო ღონისძიებები	848.4	846.0	846.0	834.4
	22	საქონელი და მომსახურება	10.0	4.2	4.2	4.2
	25	სუბსიდიები	440.0	459.4	459.4	459.4
	2822	სხვა ხარჯები		373.4	373.4	363.4
	311	არაფინანსური აქტივების ზრდა	398.4	9.0	9.0	7.4
07 00		სპორტული და კულტურული ღონისძიებები	487.0	783.5	783.5	768.4
	22	საქონელი და მომსახურება	32.0	32.0	32.0	20.3
	25	სუბსიდიები	455.0	731.5	731.5	

	311	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	20.0	20.0	16.6
8 00		სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები	400.0	413.9	413.9	398.6
	25	სუბსიდიები	0.0	72.5	72.5	72.5
	2721	სოციალური უზრუნველყოფა	400.0	341.4	341.4	326.1

I. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამტკიცებულმა წლიურმა გადასახდელების (ხარჯების) გეგმამ შეადგინა 290000 ლარი, დაზუსტებულმა გეგმამ 330000 ლარი. ხარჯების ფაქტიურმა საკასო შესრულებამ შეადგინა 329700 ლარი, აქედან შრომის ანაზღაურების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 168000 ლარს, დაზუსტებული წლიური გეგმა შეადგენდა 196500 ლარს, ანუ გეგმა გაზრდილ იქნა 28500 ლარის ოდენობით. საქონელი და მომსახურების შეძენის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 107000 ლარს, დაზუსტებული გეგმა - 123500 ლარს, ანუ გეგმა გაზრდილ იქნა 16500 ლარის ოდენობით; არაფინანსური აქტივების ზრდა დამტკიცებული გეგმით შეადგენდა 15000 ლარს, დაზუსტებული წლიური გეგმის მიხედვის აქტივების ზრდა გათვალისწინებული არ ყოფილა.

II. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის წლიური დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 1048000 ლარს, დაზუსტებული გეგმა - 1920800 ლარს, ანუ გეგმა გაზრდილ იქნა 872800 ლარის ოდენობით, ფაქტიურმა საკასო შესრულებამ შეადგინა 1912700 ლარი, აქედან შრომის ანაზღაურების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 563400 ლარს, დაზუსტებული გეგმის მიხედვით 785000 ლარს, ანუ ხარჯი შრომის ანაზღაურების მუხლში გაიზარდა 221600 ლარის ოდენობით; საქონელი და მომსახურების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 229100 ლარს, დაზუსტებული გეგმით - 381300 ლარს, ანუ გეგმა გაიზარდა 152200 ლარის ოდენობით; პროცენტი სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე გეგმა შეადგენდა 9000 ლარს, ფაქტიურმა საკასო შესრულებამ შეადგინა 8900 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდამ დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 200500 ლარს, დაზუსტებული გეგმა შეადგენს 772900 ლარს, ფაქტიური შესრულება შეადგენს 765000 ლარს, აქედან სოფლის მხარდაჭერის პროგრამაზე გაწეული გადასახდელები 582300 ლარი, მაღალი გამავლობის მსუბუქი ავტომობილის შეძენა 116500 ლარი, ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა 50800 ლარი, ბუდდოზერების და სხვა დანარჩენი სპეციალური ტექნიკის შეძენა 7400 ლარი, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში მოქალაქეთა მომსახურების ბიუროს ოფისის მოწყობა 8000 ლარი.

III. 2011 წლის დამტკიცებული გეგმით სარეზერვო ფონდი შეადგენდა 70000 ლარს, დაზუსტებული გეგმის მიხედვით 100000 ლარი, აქედან გახარჯულია 72647 ლარი, მათ შორის გამგებლის ბრძანება 2-121 ნაკიფუ, მიქავას გზის გაწმენდა 1742 ლარი, გამგებლის ბრძანება 2-245 ჩატარებულია ჩქვალერის თემში და ქ. ჯვარში სტიქიის შედეგად ჩამოშლილი გზის გაწმენდა 68227 ლარი, ჩქვალერის თემი ცენტრალური გზის მოხრეშვა ბრძ. #2-492- თანხით 2678 ლარი.

IV. აუდიტორულ მომსახურებაზე გეგმით გათვალისწინებულ იქნა 10000 ლარი, გახარჯულია 4680 ლარი;

V. ქალაქის განვითარების გენგეგმის პროექტის მომზადებაზე დაგეგმილ იქნა 14000 ლარი, გახარჯულია 14000 ლარი;

სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივის ხარჯების წლიური გეგმა შეადგენს 5400 ლარი, ფაქტიური შესრულება შეადგენს 5000 ლარს.

VII. მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯები გეგმით გათვალისწინებული იყო 20000 ლარი, ფაქტიური შესრულება შეადგენს 20000 ლარს.

VIII. სახანძრო სამაშველო სამსახურის ხარჯების წლიური გეგმა შეადგენდა 200000 ლარს, დაზუსტებული გეგმის მიხედვით 237200 ლარს შეადგენს, ფაქტიური შესრულებამ შეადგინა 237045 ლარი, მათ შორის: შრომის ანაზღაურების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 153000 ლარს, დაზუსტებული წლიური გეგმა 186600 ლარი, ანუ გეგმა გაზრდილ იქნა 33600 ლარით, ფაქტიური შესრულება შეადგენს 186600 ლარს; საქონელი და მომსახურების ხარჯების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 39900 ლარს, ფაქტიური შესრულება შეადგენს 39592 ლარს, აქედან მივლინების ხარჯები 375 ლარი, საკანცელარიო საქონლის შეძენა 159 ლარი, საწვავ-საპოხი მასალების შეძენა 19687 ლარი, ა/მანქანის საბურავის შეძენა 6000 ლარი, ა/მანქანის რემონტი 2800 ლარი, 400 მეტრი გამდენი სახელურის (შლანგის) შეძენა 4400 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯები 1545 ლარი, კატრიჯის შეძენა და დატუმბვა 40 ლარი, მობილური ტელეფონის შეძენა 201 ლარი, ელექტროენერგიის ხარჯები 2604 ლარი, დახარჯული წყლის ხარჯები 71 ლარი, შეშის ღირებულება 1710 ლარი; სხვა ხარჯების (სახანძრო სამსახურის თანამშრომელთა დაზღვევა) გეგმა შეადგენს 11000 ლარს, ფაქტიური შესრულება შეადგენს 10836 ლარს.

IX. წალენჯიხის შსს რაიონული სამმართველოს გადასახდელების დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 110000 ლარს, დაზუსტებული გეგმა შეადგენს 238500 ლარს, ანუ წლიური გეგმა გაიზარდა 128500 ლარით, ფაქტიური შესრულება შეადგენს 236700 ლარს;

X. სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის ხარჯების წლიური დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 85000 ლარს, დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 90700 ლარი, ანუ გეგმა გაზრდილ იქნა 5700 ლარის ოდენობით, ფაქტიური საკასო შესრულება შეადგენს 90634 ლარს, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 17552 ლარი, მივლინება 6078 ლარი, საკანცელარიო საქონლის შეძენა 1988 ლარი, საწვავ-საცხები მასალები 4331 ლარი, სათადარიგო ნაწილების შეძენა 1444 ლარი, რეზერვისტთა ტრანსპორტირება 3800 ლარი, შრომის ანაზღაურება 51717 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯები 885 ლარი, კატრიჯის შეძენა და დატუმბვა 330 ლარი, ელენერგიის ხარჯები 1258 ლარი; შეშის ღირებულება 850 ლარი.

XI. წყლის სისტემის რეაბილიტაციის გეგმა 220000 ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 143200 ლარი;

XII. სასოფლო-სამეურნეო მიწის საკადასტრო აზომვითი სამუშაოები გეგმა 5000 ლარი, ფაქტიური შესრულება 4900 ლარი;

XIII. ვეტერინარული მომსახურება (ფახულანის თემი) პირუტყვის აცრები გეგმით გათვალისწინებულ იქნა 3000 ლარი, ფაქტიური შესრულება - 1000 ლარი;

XIV. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. წალენჯიხის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხარჯების წლიური გეგმა 287200 ლარი, საკასო შესრულება 287200 ლარი;

V. ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის ხარჯების გეგმა 130400 ლარი, ფაქტიური შესრულება 129000 ლარი;

XVI. ა(ა)იპ სკოლამდელი აღზრდის ცენტრის დაფინანსება დამტკიცებული გეგმით შეადგენდა 430000 ლარს, დაზუსტებული გეგმა შეადგენს 440000 ლარს, ანუ გეგმა გაზრდილ იქნა 19000 ლარის ოდენობით. ფაქტიური საკასო შესრულება შეადგენს 440000 ლარს;

XVII. ქ. ჯვარის №-2 ს/ბადის რემონტის ხარჯები გეგმა 9000 ლარი, ფაქტიური შესრულება 7384 ლარი;

XVIII. წვოუშის საჯარო სკოლა (უფასო ავტობუსის) ხარჯები გეგმა 15800 ლარი, ფაქტიური შესრულება 15800 ლარი;

XIX. საჯარო სკოლების თანადაფინანსებზე გეგმა 8000 ლარი, ფაქტიური შესრულება 7772 ლარი;

XX. მედანის თემის საჯარო სკოლის რეკონსტრუქცია გეგმით 72700 ლარი, ფაქტიური შესრულება 72683 ლარი;

XXI. ლიის თემის საჯარო სკოლაზე მიშენების სამუშაოების გეგმა 297100, ფაქტიური შესრულება 290750 ლარი;

XXII. ა(ა)იპ წალენჯიხის სასპორტო სკოლის დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 120000 ლარს, დაზუსტებული გეგმა შეადგენს 374500 ლარს, ანუ გეგმა გაზრდილ იქნა საანგარიშო პერიოდში 254500 ლარის ოდენობით, ფაქტიური საკასო შესრულება შეადგენს 371100 ლარს, სპორტული მოედნების მოწყობა 16600 ლარი

XXIII. ა(ა)იპ წალენჯიხის კულტურის ცენტრის დაფინანსება წლიური დამტკიცებული გეგმით შეადგენდა 250000 ლარს, დაზუსტებულ გეგმას შეადგენს 290000 ლარს, ანუ გეგმა გაზრდილ იქნა 40000 ლარის ოდენობით. ფაქტიური შესრულება შეადგენს 290000 ლარს;

XXIV. ა(ა)იპ წალენჯიხის სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის დამტკიცებული წლიური გეგმა შეადგენდა 75000 ლარს, დაზუსტებული გეგმა შეადგენს 77000 ლარს, ანუ გეგმა გაზრდილ იქნა 2000 ლარის ოდენობით. ფაქტიური შესრულება შეადგენს 77000 ლარს;

XXV. რელიგიური საქმიანობის ხელშეწყობაზე წლიური გეგმა შეადგენს 32000 ლარს, ფაქტიური შესრულება შეადგენს 20318 ლარს;

XXVI. ახალგაზრდული ორგანიზაციის დაფინანსებაზე (მხიარული სტარტები) წლიური გეგმა შეადგენს 10000 ლარს, ფაქტიური საკასო შესრულება შეადგენს 9986 ლარს;

XXVII. (მშობიარობის და ურგენტული) გადაუდებელი ღონისძიებების ხარჯების გეგმა 32000 ლარი, ფაქტიური შესრულება 19733 ლარი;

XXVIII. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარჯების წლიური გეგმა 70000 ლარი, ფაქტიური საკასო შესრულება 70000 ლარი.

XVIX. უფასო სასადილოს ხარჯების წლიური გეგმა შეადგენს 145000 ლარს, ფაქტიური შესრულება 144998 ლარს, მათ შორის ქ. წალენჯიხისა 74940 ლარი, ქ. ჯვარი 70058 ლარი;

XXX. გაჭირვებულ 894 ოჯახს გაეწია ერთჯერადი დახმარების წლიური დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 116000 ლარს, წლის დაზუსტებულ გეგმას შეადგენ 136000 ლარი, ანუ წლის პერიოდში გეგმა გაზრდილ იქნა 20000 ლარის ოდენობით. ფაქტიური შესრულება შეადგენს 137829 ლარს;

XXXI. გარდაცვლილ ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვის ხარჯების დამტკიცებული წლიური გეგმა შეადგენდა 2000 ლარს, დაზუსტებული გეგმა შეადგენს 3500 ლარს, ანუ გეგმა გაზრდილ იქნა 1500 ლარის ოდენობით. ფაქტიურად 30 ვეტერანთა ოჯახს გაეწია დახმარება 2750 ლარის ოდენობით;

XXXII. ვეტერანთა და საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა ოჯახების დახმარების წლიური გეგმა შეადგენს 8000 ლარს, ფაქტიურად 19 ოჯახს გაეწია დახმარება 6200 ლარის ოდენობით;

XXXIII. ვეტერანთა საბჭოს საქმიანობის ხელშეწყობაზე დამტკიცებული გეგმა შეადგენდა 2000 ლარს, დაზუსტებული გეგმა შეადგენს 2500 ლარს, ანუ გეგმა გაიზარდა 500 ლარის ოდენობით. ფაქტიურად საკასო შესრულებამ შეადგინა 2500 ლარი;

XXXIV. სტიქიის შედეგად დაზარალებულთა საცხოვრებელი უზრუნველყოფაზე წლიური გეგმა შეადგენს 15000 ლარს, ფაქტიურად 18 ოჯახს ჩაერიცხა დახმარება 14600 ლარი;

XXXV. ნაპირსამაგრი სამუშაოებზე გეგმიური 110500 ლარი, ფაქტიური შესრულება 111700 ლარი;

XXXVI. გზის რემონტი გეგმიური 55000 ლარი, ფაქტიური 73600 ლარი.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის თ. კონჯარიასა და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, საფინანსო ხელამხედველობის განყოფილების უფროსის კ. კვარაცხელიას მიერ.

რეკომენდაციები

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2011 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორების დროს ყურადღება გაიქცა გაგამახვილოთ შემდეგ საკითხებზე, კერძოდ:

1. დადგენილია პირად საკუთრებაში არსებულ ავტომანქანებზე საწვავ-საპოხი მასალების ხარჯვის ლიმიტი, ხარჯვა განხორციელებულია ლიმიტის ფარგლებში, ამასთან მოსამსახურეებზე რომლებიც იყენებენ სამსახურეობრივი მოვალეობის შესასრულებლად პირად საკუთრებაში არსებული ავტომანქანებს, მათზე საწვავის გაცემა უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.

2. დადგენილია მოსამსახურეების მიერ მობილურ ტელეფონებზე განხორციელებული საუბრების ლიმიტი. ხარჯვა განხორციელებულია ლიმიტის ფარგლებში.

მცდელობა სასაუბრო დროის შეძენისათვის გამოწერილ სასაქონლო ზედნადებებში მითითებული იყოს კონკრეტული ნომერი და მასზე ჩარიცხული თანხის ოდენობა.

დასკვნა

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს 2011 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის ფინანსურ მდგომარეობას და საქმიანობის შედეგებს. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის მომზადებისა და წარდგენის პროცესი, პრიორიტეტების დოკუმენტის შედგენის, ბიუჯეტის პროექტის განხილვისა და დამტკიცების პროცესი, ასევე ბიუჯეტის აღრიცხვა-ანგარიშგება, მისი შესრულების კვარტალური მიმოხილვა შეესაბამება „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

ჩვენი მოსაზრებით, მუნიციპალიტეტის სამსახურში არსებული აღრიცხვა-ანგარიშგება ძირითადად იძლევა განხორციელებული ოპერაციების სრულფასოვანი ასახვის და ანალიზის საშუალებას. ფინანსური ანგარიშგება სრულად და ობიექტურად ასახავს ფინანსურ პოზიციას 2011 წლის, 31 დეკემბრის მდგომარეობით, და მისი საქმიანობის შედეგები და ფულადი სახსრების მიმოქცევას, დასრულებული წლისთვის შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს.

შპს „აუდიტ-ექსტრა“-ს

დირექტორ-პარტნიორი:

/ლ ზარქუა/

